

### ბადის მალამო

ხეხილის ბაღებში აგროტექნიკური სამუშაოების ჩატარების, სტიქიური მოვლენების (სეტყვა, ძლიერი ქარები და სხვა.) შედეგად ხშირია მცენარეების მექანიკური დაზიანების შემთხვევები. დაზიანებული ადგილები კი მავნებელ-დაავადებათა კერების გავრცელების წინა პირობაა.

ფერმერებმა და მეზღვეებმა მცენარეების მექანიკური დაზიანების შემთხვევაში, დაზიანების ადგილებს უნდა წაუსვან ბადის მალამო, რაც ძალზე ეფექტური საშუალებაა ჭრილობების მოსაშუშებლად, ხოლო მავნებელ-დაავადებებს ესპობათ გამრავლების საშუალება.

ბადის მალამოს დამზადების მრავალი ვარიანტი არსებობს.

პრაქტიკაში გამოიყენება შაბიამნით, კირითა და კირხსნარით დამზადებული მალამო. მომზადების წესი: 1 კგ. შაბიამანი, 1 კგ. კირი და 1 ლიტრი კირხსნარი მოვათავსოთ ჭურჭელში, კარგად ავურიოთ, მიიღება ფაფისებრი მასა, რომელიც მზადაა გამოსაყენებლად.

საკმაოდ გავრცელებულია კანიფოლით, ცვილითა და ცხიმით დამზადებული მალამო. მომზადების წესი: 1 წილი კანიფოლი და 2 წილი ცვილი ჭურჭელში უნდა გავადნოთ და შევურიოთ ერთმანეთს. შემდეგ უნდა დავუმატოთ 1- წილი ცხიმი (უმჯობესია ცხვრის ცხიმი). მიღებული მასა წვრილი ჭავლით უნდა ჩავასხათ ცივ წყალში და შევკრათ გუნდებად. შემავსებლად შეიძლება დაემატოს ნაცარი.

გამოყენების წესი: აღნიშნული მალამოები შეიძლება გამოვიყენოთ ხეხილის ბაღში, წავუსვათ მცენარეებს მექანიკურად დაზიანებულ ადგილებზე, განასხლავ შედარებით დიდ ჭრილობებზე (მათ შორის ნამყენზე), ტოტის გადანახერხზე, ტოტის ჩამოხლეჩის ადგილზე, მექანიკურად დაზიანებულ კანზე და ა.შ.

აღნიშნული მეთოდები ბუნებრივი საშუალებაა, რომელიც უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის.